

ძვირფას დღეებსა და ღამეებში  
შესასრულებელი

ვედრება  
და  
ღვთისმსახურებები



# ვედრება და ღვთისმსახურებები

---

შემდგენი	ფაზილეთის სამეცნიერო ჯგუფი
ტექნიკური რედაქტორი	ფაზილეთის გრაფიკული ჯგუფი
სტამბა	ჩამლიჯა - ფაზილეთი
სერტ. N:	198
ISBN	978-625-8027-06-8
1 გამოცემა	სტამბული 2022
მისამართი	ბაღლარის უბანი, მიმარ სინანის ქუჩა, N54 გუნემლი- ბაღჯილარ/სტამბული
კავშირი	ტელ: 0212 657 88 00

[www.fazilet.com.tr](http://www.fazilet.com.tr)

[bilgi@fazilet.com.tr](mailto:bilgi@fazilet.com.tr)




**FAZILET**  
NESRİYAT

© გამომცემლის ყველა უფლება დაცულია. ნაშრომი ეკუთვნის ჩამლიჯას სტამბას. ფაზილეთი ჩამლიჯას ერთერთი მარკაა.

## სარჩევი

<b>მუხარრემის თვე</b> .....	<b>6</b>
ა-მუხარრემის თვის პირველ ღამეს სალოცავი ნაფილე ნამაზები.....	8
ბ- მუხარრემის თვის პირველიდან ათ რიცხვამდე სალოცავი ნაფილე ნამაზი: .....	11
გ- მუხარრემის თვის მეცხრე და მეთათე ღამეებში სალოცავი ნამაზი .....	12
<b>აშურა დღე</b> .....	<b>13</b>
აშურა დღეს რა უნდა შევასრულოთ? .....	14
აშურა დღეს სალოცავი ნამაზი .....	15
<b>საფერულ-ხაირი</b> .....	<b>17</b>
<b>რეზიულ ევველი</b> .....	<b>18</b>
მევლუდ ყანდილი .....	18
<b>რეზიულ ახირი</b> .....	<b>19</b>
<b>ჯემაზიელ ევველი</b> .....	<b>20</b>
<b>ჯემაზიელ ახირი</b> .....	<b>21</b>
<b>რეჯების თვე</b> .....	<b>21</b>
ხაჯეთ ნამაზი: .....	23
ხაჯეთ ნამაზის ლოცვის წესი:.....	24
<b>რედაიბის ღამე</b> .....	<b>28</b>
<b>მირაჯის ღამე</b> .....	<b>32</b>
მირაჯის ღამეს სალოცავი ნაფილე ნამაზი:.....	32
<b>შაღბანის თვე</b> .....	<b>35</b>
შაღბანის თვის 27-ე ღამეს სალოცავი ნაფილე ნამაზი .....	36
<b>ბერათის ღამე</b> .....	<b>38</b>

<b>რამაზნის თვე</b> .....	<b>41</b>
მადლიერების ნამაზი .....	41
რამაზნის თვის პირველი, მეორე და მესამე 10 დღის განმავლობაში შესასრულებელი ნაფილე იბადეთები	42
<b>ყადირის ღამე</b> .....	<b>44</b>
ყადირის ღამეს შესასრულებელი ნაფილე იბადეთები	46
<b>შევევალის თვე</b> .....	<b>48</b>
<b>ზილყადეს თვე</b> .....	<b>49</b>
<b>ზილხიჯჯეს თვე</b> .....	<b>50</b>
რა უნდა მოიმოქმედოს მუსლიმანმა, რომელიც ჰაჯობაზე ვერ წავიდა .....	52
ყურბნის დაკვლის შემდეგ სალოცავი მადლიერების ნამაზი .....	57
პიროვნება, რომელმაც ყურბანი ვერ დაკლა .....	58
ზილხიჯჯეს თვის ბოლო ღამეს შესასრულებელი ნაფილე ღვთისმსახურებები .....	61
<b>ზოგიერთი რჩევა-დარიგება</b> .....	<b>63</b>
დედ-მამის ამავის მოსახდელად სალოცავი ნამაზი ...	63
ხუსამა ნამაზი.....	63
„ჯუნნეთულ-ესმა“-ს კითხვის სიძვირფასე.....	64
ღუხა, ევვაბინ და თეჰეჯჯუდ ნამაზები .....	65
თესბიხ ნამაზი .....	67
თესბიხ ნამაზის ლოცვის წესი: .....	68
სეჯდეს აიეთებით ვედრება .....	69
ძილის წინ საკითხავი ვედრება .....	70
ხათმი ენბია .....	71



## ძვირფასო მკითხველო

ამ წიგნში ფეილამბრისა (ს.ა.ვ.) და სწავლულების მიერ გადმოცემული, ძვირფას დღეებსა და ღამეებში შესასრულებელი დუა და იბადეთებია მოცემული. ის გზამკვლევა, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებისა და სულიერად ამაღლების მსურველი მორწმუნეებისათვის. ძვირფას ხადისი ყუდსში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „მორჩილი - ფარძების შესრულებით ჩემი რისხვისაგან გადარჩება, ნაფილეებით კი მე დამიახლოვდება.“



მუხარრემის თვე ჰიჯრის წელთაღრიცხვით წლის პირველი თვეა.

ამ თვეში ბევრი ისთილფარი უნდა ვიკითხოთ.

ვინც მუხარრემის თვის პირველ დღეს, ბისმილლააჰირრახმანირრახიიმ-ის თქმით ერთდროულად 1000 იხლასს (ყულ ჰუველლაჰუ ედებ...) იკითხავს, უზენაესი ალლაჰის დახმარებით იმქვეყნად ადამიანის ვალით არ წარდგება, მიეცემა შესაძლებლობა რომ ვალი ამქვეყნადვე გადაიხადოს.

ვინც ამ თვის ხუთშაბათს, პარასკევსა და შაბათს უწყვეტად იმარხავს, 900 წლის ნაფილე მარხვის მადლი დაეწერება.

მუხარრემის თვის პირველიდან ათი რიცხვის ჩათვლით მარხვა და მეათე დღეს „აშურა“ კერძის მომზადება ძვირფასი ღვთისმსახურებაა. ვინც ამას შეასრულებს, ვიმედოვნებთ, რომ ხზ. ხასანისა და ხზ. ხუსეინის (რ.ანჰუმა) ერთად ჯენნეთში შევა.

ვინც ამ თვის პირველ ათ დღეს ვერ იმარხავს, უნდა შეეცადოს რომ 8, 9 და 10-ე დღე მაინც მარხვით გაატაროს.

ძვირფასი ფეილამბერი (ს.ა.ვ.) ამ თვის მეცხრე დღეს მგზავრობაში იმყოფებოდა, ამიტომ მხოლოდ მეათე დღეს იმარხა და ასე ბრძანა: „თუ ცოცხალი ვიქნებით მომავალ წელს მეცხრე დღესაც ვიმარხავთ.“

ამ დღეებში განსაკუთრებით ხშირად ხათმი ენბია უნდა გავაკეთოთ.\*

---

\* ამ ხათმის გაკეთების წესი იხილეთ წიგნის ბოლოში

## ა-მუხარრემის თვის პირველ ღამეს სალოცავი ნაფილე ნამაზები

ამ თვის პირველ ღამეს (ზილხიჯჯეს თვის ბოლო დღის, მუხარრემის თვის პირველ დღეზე დამაკავშირებელ ღამეს), საღამოსა და იასი ნამაზს შორის უზენაესი ალლაჰის კმაყოფილებისათვის 2 მუხლი ნამაზი ილოცება.

ნამაზისათვის ნიეთი ასე კეთდება:

**„ჩემო ალლაჰო! ამ წლის ბარაქიანობისათვის, შენი პატიებისა სინათლის დამსახურებისათვის, ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერებისათვის, ნიეთს ვაკეთებ ნამაზის სალოცავად, ელლაჰჰუ ექბერ.“**

ორივე მუხლზე იკითხება:

7 ფათიხა,

7 აიეთულ-ქურსი,

7 იხლასი.